ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი კომისიის

სხდომის ოქმი N10

ზუგდიდი, 23 აგვისტო 2023 წელი

სხდომის ადგილი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.
სხდომის დაწყების დრო 10:00 საათი.

დღის წესრიგი

საკითხი N1 ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის წესში ცვლილების შეტანა-განხილვა.

სხდომის თავმჯდომარე: იდა ქვარაია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი-კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

სხდომის მდივანი:

ბელა ხუბუა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის II კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი-კომისიის წევრი- კომისიის მდივანი.

სხდომას ესწრებოდნენ:

- **ზამირა ღადუა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოადგილე - კომისიის წევრი;
- **კობა ჯიქია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
- **გიგლა სულამანიძე**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;
- **ზაზა გაბისონია**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;
- **მონიკა შამათავა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

• **ნინო სიჭინავა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

• **ია ეხვაია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-სოციალურის და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი.

კომისიის სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა:

• **კონსტანტინე კაკავა**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის -პირველი მოადგილე; - კომისიის თავმჯდომარე.

• **ნათია ფიფია** - ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი - კომისიის წევრი.

• **მამუკა ბულია** - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურცენტრის უფროსის ფუნქციათა შემსრლებელი-კომისიის წევრი;

• **მაგდალინა თოდუა**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი;

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი-ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის წესში ცვლილების შეტანის შესახებ.

აზრი გამოთქვეს:

იდა ქვარაია- მიზანშეწონილად მიმაჩნია განხორციელდეს ცვლილება ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესში. კერძოდ, მუხლი. 5 -ის ქვეპუნქტი 5.3 მერის სტიპენდიის მოსაპოვებლად წარმოსადგენი სავალდებულო დოკუმენტაციაში შევიდეს ცვლილება. სტიპენდიის მოსაპოვებლად აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია 15 სექტემბრამდე, ხოლო ცნობა სასწავლებლიდან სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ წარმოდგენილ უნდა იქნეს არაუგვიანეს 15 ოქტომბრისა.

ზამირა ღადუა- ვიმსჯელეთ და მივიღეთ ეს გადაწყვეტილება, ამ კონკრეტულ მუხლში შევიდეს აღნიშნული ცვლილება. აქტიური სტუდენტის სტატუსის ცნობას უნივერსიტეტი იძლევა სწავლის დაწყების შემდეგ, გამომდინარე აქედან, სტუდენტი ცნობას წარმოადგენს 15 ოქტომბრამდე.

ღია კენჭისყრაზე წარმოდგენილ წინანადადებას მხარი დაუჭირა სხდომის დამსწრე ყველა წევრმა.

გადაწყვეტილება:

1. **შეტანილ იქნეს ცვლილება ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის წესში, კერძოდ წესის მე-5 მუხლის 5.3 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით შემდეგი სახით:**

5.3 მერის სტიპენდიის მოსაპოვებლად წარმოსადგენი სავალდებულო დოკუმენტაცია:

- განცხადება მერის სახელზე;
- უნივერსიტეტის მიერ გაცემული აკადემიური მოსწრების ფურცელი წინა სასწავლო წლის 2 (ორი) სემესტრის მონაცემებით, სამაგისტრო ან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტის შემთხვევაში, საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის ბოლო კურსის (ორი სემესტრის) აკადემიური მოსწრების ფურცელი.
- პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;
- განახლებული საინფორმაციო ბარათი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან/დევნილის შემთხვევაში ცნობა რეგისტრაციის შესახებ;
- შესაბამისი სასწავლო დაწესებულებიდან ორი რეკომენდაცია, რომელთაგან ერთი მაინც უნდა იყოს მიმართულების პროფესორის/ასოცირებული პროფესორის/ასისტენტ პროფესორის რეკომენდაცია, ხოლო ეროვნული თავდაცვის აკადემიის სტუდენტებისთვის (იუნკერი) საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე პერსონალის ორი რეკომენდაცია;
- სამოტივაციო წერილი;
- პირადი საბანკო რეკვიზიტები ბანკიდან (ბეჭდით დამოწმებული).
- **ცნობა სასწავლებლიდან მიმდინარე წლის შემოდგომის სემესტრის სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ (წარმოდგენილ უნდა იქნეს არაუგვიანეს 15 ოქტომბრისა).**

სხდომა დახურულად გამოცხადდა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის დასრულებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე:

იდა ქვარაია

მონიკა შამათავა

კომისიის წევრები:

ნინო სიჭინავა

ზამირა ღადუა

კობა ჯიქია

ზაზა გაბისონია

გიგლა სულამანიძე

ია ეხვაია

მდივანი: ბელა ხუბუა